



საქართველო, 0180, თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №34, ოფისი №14; ტელ./ფაქსი: (995-32) 69-11-00; მობ.: (995-95) 28-55-10, 28-55-15
14 Office, 34 Tsothe Dadiani Str. Tbilisi, 0180, Georgia; Tel./Fax: (995-32) 69-11-00; Mob.: (995-95) 28-55-10, 28-55-15

№ 24/1

" 1 " აპრილი 2006 წ.

საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერს,
საქართველოს მასშედიას.

მ ი მ ა რ თ ვ ა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

დიდი ხანია ვაპირებ მოგახსენოთ ჩემი აზრი თქვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიციური საქმიანობის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ ვეხს ვითრეველი – ხან თქვენთან შეხვედრის საშუალება არ მქონდა, ხან ვფიქრობდი, რომ ყველაფერი თავისით დალაგდებოდა...

ჩვენი პარტია 2003 წელს შეიქმნა და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ხალხს და სახელმწიფოს ახალი პროგრესული საზოგადოების, მსოფლიო თანამეგობრობის ღირსეული წევრის მშენებლობის საქმეში!

ჩვენ ვიზიარებთ დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის, სამართლიანი საერო სახელმწიფოებრივი წყობილების პრინციპებს, რომლის დროსაც ფუნქციონირებს დამოუკიდებელი სასამართლო და მასშედია, მოქმედებს თავისუფალი ეკონომიკა, კვლესია ნამდვილად გამოყოფილი სახელმწიფოსაგან და როგორც შედეგი – არსებობს ჰარმონიულად განვითარებადი საზოგადოება, რომელიც მიიღებს თვითსრულყოფისათვის და საერთო კეთილდღეობისათვის!

ვფიქრობ, თქვენ იზიარებთ ჩვენს პოზიციას, და დარწმუნებული ვარ, ყველანი დამეთანხმებით, რომ ხელისუფლების შეცვლა უნდა ხორციელდებოდეს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების გზით, და არა მორიგი მიტინგებითა და ქუჩის სვლევლობებით, მით უმეტეს ჩვეულებრივი ხელნართული ჩხუბით, ზოგჯერ კვლევლობებითაც კი, რასაც ხალხში რევოლუცია ჰქვია!

რბილად რომ ვთქვათ, არ ვარ აღფრთვონებული დღევანდელი ხელისუფლებისა და პარლამენტის ქმედებებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ვლანძლოთ, შეურაცხყოფა მივაყენოთ და სახელი გაეუტეხოთ მათ ყველანიარად როგორც შინ, ასევე საზღვრებს გარეთ. ამას ჰქვია მტრის წისქვილზე წყლის დასხმა!

რა მისაღებია, როცა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ხმამაღლა, ტელეეთერის საშუალებით აცხადებს, რომ სააკაშვილს “არ აცდება ის, რაც არ აცდება პატარძალს ქორწილის დამეს”?...

ან და ამისწინანდელ ნოემბრის მიტინგზე ერთ-ერთი მონაწილის, ე.წ. შეურიგებელი ოპოზიციონერის, რომელიც უკვე რატომღაც ძმაზე პოპულარულია, წამოძახილი – “ყურებით გამოგათრევთ იქიდან!” (იგულისხმებოდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი).

ან და პარლამენტის ყოფილი სპიკერის გამოსვლა, რომელიც ხმამაღლა, კამერების წინ იმუქრებოდა, რომ მას (ანუ სააკაშვილს) “მიწიდან ამოთხრის”!

ამგვარი ამორალური ქმედებები მიუღებელია, ეს არის საკუთარი გრძნობების კანონსაწინააღმდეგო გამოვლინება და, რაც მთავარია, - მთლიანობაში ეს არის უზრდელობა! მით უმეტეს, ამ მეთოდებით ვერ დაიმსახურებთ ხალხის ყურადღებას და ამომრჩეველის და ზოგადად ქართველი ერის სიმპატიებს.

იმაზე აღარ მაქვს საუბარი, რომ ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციონერი, და მათ შორის პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელები, თავს უფლებას აძლევენ არა მხოლოდ აკრიტიკონ მოქმედი ხელისუფლება (თუმცა ნორმალური კრიტიკა, რომელიც არ სცილდება ელემენტარული ეთიკის ნორმებს, სავსებით მისაღები და მისასაღმებელია), არამედ ჩირქი მოსცხონ მას, და, რაც ყველაზე მიუღებელია, ამას საქართველოს საზღვრებს გარეთ აკეთებენ, კერძოდ – რუსეთში.

ბატონო ე.წ. პოლიტიკოსებო, რისთვის, რომელი ქულების მისაღებად აკეთებთ ამას? ნუთუ თქვენ არ გესმით, რომ მტერს ზუსტად რომ თქვენგან უხარია ამ ლანძვლა-გინების მოსმენა?

ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ შეწყდეს ამგვარი ქმედებები და დაიწყოს ნამდვილად პატიოსანი და ზნეობის თვალსაზრისით მტკიცე ბრძოლა იმ ადამიანების გულის მოსაგებად, ვინც არ არის გულგრილი ჩვენი ქვეყნის ბედის

მიმართ, რაც ბოლოს და ბოლოს ხელს შეუწყობს ხელისუფლებაში პარტიულ და საზოგადო მოღვაწეების მოსვლას ცივილიზებული და მშვიდობიანი მეთოდებით, ღირსეულებიდან ღირსეულების არჩევას?

მე გახლავართ საქართველოს აშკარა მოლაღატისა და უდიდესი ავანტიურისტის ე. შვედარდნაძის დაუძინებელი მტერი, რომლის საქმიანობის ნაყოფს სეპარატიზმის და ამ საკითხში რუსეთის გავლენის გაძლიერების სახით ჩვენ დღეს მოვიმკით. მისი პრეზიდენტობის დროს მქონდა პატივი რუსეთის სახელმწიფო დეპუტატების მიერ მოწოდებულ საქართველოსა და აფხაზეთის დიასპორების შეხვედრაზე გამოსვლისას დამეცვა იგი: თქვენ - რუს დეპუტატებს - უფლებას არ მოგცემთ ლანძღოთ იგი, ჩვენ მას თვითონ მოვუვლით-თქო.

ჩვენს წინაპრებს უთქვამთ – “ყველამ თავთავიანთი მიცვალებული თვითონ უნდა დამარხოსო”...

ჩემს მიერ პრეტენზიების გამოთქმა ამა თუ იმ პარტიული და საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერების მიმართ არ ნიშნავს იმას, რომ მე მიზეზი არა მაქვს ვაკრიტიკო ხელისუფლება და სოლიდარობა გამოვუცხადო მას. მაგრამ მე მომხრე ვარ ცივილიზებული კრიტიკის ლანძღვა-გინებისა და მით უმეტეს სისხლისღვრის გარეშე!

არ მომწონს ხელისუფლებაში ახალგაზრდების ე.წ. დომინირება. ჩემი ასაკისა და გამოცდილების გათვალისწინებით ამას შემიძლია დავარქვა “ხელისუფლებაში ბავშვების დომინირება”!

ვერასდროს დაგუჯერებ 28 წლის თავდაცვის მინისტრს, ეს უბრალოდ სამარცხვინოა! ნუთუ საქართველოში ვერ მოიძებნა უფრო განათლებული სამხედრო მოღვაწე? ასევე ძალიან სამარცხვინო იყო საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში ძალიან ახალგაზრდა და მომხიბლელი გოგონას ხილვა, რომელსაც არც ცოდნა გააჩნია, არც გამოცდილება... – რომელი სერიოზული დიპლომატი დაჯდება მაგიდასთან და აწარმოებს მასთან მოლაპარაკებებს? პრეზიდენტის ძალიან ახალგაზრდა ასაკის გათვალისწინებით, მის გარშემო მაინც უნდა იყოს ბრძენი და გამოცდილი ადამიანები როგორც ასაკის, ასევე ელემენტარული განათლების თვალსაზრისით.

თავიდანვე წამგებიანი იყო კოკოითის სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყება გასული წლის აგვისტოში. და, თუმცა ცდილობენ საპირისპიროში დავგვარწმუნონ, ჩემთვის ბევრად უფრო

ადვილია ვაკრიტიკო ჩემი მშობლიური დამნაშავე პრეზიდენტი, ვიდრე უცხო არამზადა, რომელიც სიზმარში ოცნებობდა განეხორციელებინა ის, რაც ჩვენი უსუსური ხელისუფლების დახმარებით გააკეთა!

ნებისმიერი ქვეყნის მოაზროვნე პრეზიდენტისათვის გამირობაა არა კედელზე თავის რახუნი (მით უმეტეს, თუ ჩაბხუტი არ გახურავს), არამედ საერთო ენის გამონახვა ყველაზე დიდ არამზადასთან, თვით ეშმაკთანაც კი, და მიზნის მისაღწევად ნებისმიერი ხერხისა და საშუალების გამოყენება, მით უმეტეს როცა მიზანი ჭეშმარიტი და სამართლიანია!

როგორც ხედავთ, პატივცემულო კოლეგებო, მეც საკმაოდ გამაჩნია პრეტენზიები დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ არ ვკადრულობ უღირს გამოთქმებს, უწმაწურ სიტყვებსა და ლანძღვა-გინებას! იმ მიზეზით, რომ დღესდღეობით ეს ჩვენი პრეზიდენტია, ჩვენი მთავრობა და პარლამენტი და ასე თუ ისე ჯერჯერობით ჩვენი წარმომადგენლები არიან!

რა უნდა მოვიმოქმედოთ შემდგომში?

ვიცი, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი თანახმაა ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან ქვეყნის ძირითადი კანონის – კონსტიტუციის, და ასევე საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით. მე ეს სწორად მიმაჩნია – უმჯობესია ხალხის საკეთილდღეოთ და ქვეყნის საუკეთესო მომავლისათვის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, ვიდრე მისი იგნორირება!

მზად ვარ გაგიზიაროთ ჩემი ძირითადი მოსაზრებები, თუ რა და როგორ უნდა შეიცვალოს, რომ თავიდან ავიცილოთ სავალალო შედეგები:

1. გთავაზობთ ძირითად კანონში შევიტანოთ დებულება, რომელიც საშუალებას მისცემს სსრკ-ს დროს საბჭოთა საქართველოში დაბადებულ ნებისმიერ მოქალაქეს (მით უმეტეს ქართველს) ავტომატურად მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, მიუხედავად მისი დღევანდელი საცხოვრებელი ადგილისა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ცხოვრობს თავისი სამშობლოს, საქართველოს, საზღვრებს გარეთ, რა საკვირველია, ყველა დონის არჩევნებში ხმის უფლებით, ასევე ყველა დონის არჩევნებში, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებშიც კენჭისყრის უფლებით.

2. კანონით განისაზღვროს სახელმწიფოს მეთაურის, ანუ პრეზიდენტის პოსტის პრეტენდენტის ასაკი. პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკი უნდა იყოს 45 (უფრო უკეთესია – 50) წელს ზევით.

3. კანონმდებლობით განისაზღვროს მაღალ სახელმწიფო პოსტებზე დასანიშნი ჩინოვნიკების ასაკი, პირველ რიგში ვგულისხმობ მინისტრებს, გუბერნატორებს, ქალაქის მერს და ა. შ., რომელთა ასაკი უნდა იყოს 40-45 წელს ზევით.

4. კანონმდებლობით განისაზღვროს პარლემენტის დეპუტატების ასაკი და შეადგენდეს 40-45 წელს ზევით.

ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მომავალში ჩვენ ქვეყანაში სხვა და სხვა სულელური ექსპერიმენტებისა და სასაცილო სიტუაციების თავიდან არიდებას, ხელისუფლებაში აღარ იქნებიან მიამიტი, უვიცი, გამოუცდელი და უნიჭო ადამიანები, და თავს დავადწვეთ იმ ტრაგიკომიკურ “საბავშვო ბალისაგან”, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს! ამის ატანა უკვე შეუძლებელია! როგორ შეიძლება პატარა ბავშვებმა გვასწავლონ ჩვენ, დიდებსა და ბრძენ ხალხს, თუ როგორ ვიცხოვროთ და რა ვაკეთოთ ჩვენი ქვეყნის შიგნით და გარეთ! და შედეგიც სახეზეა! მთელს მსოფლიოში არსად არ არის მიღებული ასე აგდებულად მოპყრობა ხალხისა და ქვეყნის ავტორიტეტისადმი. ხოლო კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ყოველთვის პატივს სცემდნენ ასაკს, ჭკუასა და სიბრძნეს, რაც ახასიათებს ადამიანებს, რომლის ასაკია 50, 60 წელი და ზევით.

ეს დღევანდელი ქართული პოლიტიკის, საქართველოს ყოფნა-არყოფნის ყველაზე მთავარი საკიტხია, რადგანაც, ვიმეორებ, არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე (მით უმეტეს მოწოდებით არამზადა) არ მონდომებს მეტ-ნაკლებად სერიოზული მოლაპარაკებების წარმოებას “ბავშვებთან”, ეს მიუღებელია ნორმალური პარტნიორისათვის, ბრძენი, გამოცდილი და ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანისათვის...

მხოლოდ კანონმდებლობაში ამგვარი ცვლილებების შეტანის შემდეგ შეეძლებოდა წინ მოძრაობას – მასებში შეღწევას, ერის განათლებას... ერი კი, ვიმეორებ, მხოლოდ ავტორიტეტულ და ზრდასრულ ადამიანებს დაუჯერებს, რომლებიც აუხსნიან მათ უფლებებს ღირსეული ცხოვრების მისაღწევად მხოლოდ სამართლიანი არჩევნების გზით. ეს შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი კანონმდებლობის დახმარებით, რომელიც არ დაუშვებს ხელისუფლებაში ნებისმიერი გაურკვეველი დონის, ასაკისა და წარმოშობის ადამიანების შეღწევას,

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს, რომ არსებობს ასეთი მაღალცივილიზებული და განვითარებული ქვეყანა საქართველო, რომელიც შეიძლება გახდეს მაგალითი არა მხოლოდ მეგობრებისათვის, არამედ შურით სავსე დაუძინებელი მტრებისათვის!

ქართველებმა უნდა ვისწავლოთ ცხოვრება კონსტიტუციის მიხედვით! და პირველი სამართლიანი ნაბიჯი ამ მიმართულებით იქნებოდა ჩვენი არც თუ ისე შორეული წარსულის დაგმობა, ვგულისხმობ საქართველოს პირველი, საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის პრეცედენტს შევარდნაძის სისხლიანი რეჟიმის მიერ.

ამ ბანდამ პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე, ხოლო ერმა, განსაკუთრებით კი დღევანდელმა ახალგაზრდობამ, უნდა იცოდეს თავისი ისტორია. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ჩვენ “გმირებს”, და ეს ყველაფერი ასახული უნდა იყოს სასკოლო და საინსტიტუტო სახელმძღვანელოებში!

უნდა გამოვავლინოთ და სათითაოდ დავასახელოთ ყველა, ვინც მეტ-ნაკლებად ხელი შეუწყო კანონიერი ხელისუფლების დამხობას და უკანონობის, ანარქიის, ნარკომანების, ბანდიტებისა და მკვლელების ხელისუფლების დამკვიდრებას!

ამაში არც თუ პატარა წვლილი მიუძღვის ჩვენს ე.წ. ინტელიგენციას – ყველა მათგანი სათითაოდ უნდა იყვნენ დასახელებულები...

უნდა აღდგეს ე. შევარდნაძის რეჟიმისა და მისი ბანდიტური გარემოცვის მიერ დაშლილი პარლამენტი, აღდგეს თუნდაც ერთი კვირით, ერთი დღით, ერთი საათით! და სამართლიანი იქნება, თუ ზუსტად ის პარლამენტი დანიშნავს მორიგი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ვადებს...

ჩვენ კი მანამდე უნდა ჩამოვყალიბდეთ პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის ვინაობის მიმართ და დავიწყოთ მასებთან მუშაობა!

მინდა დავიჯერო, რომ ქართველი ერი ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდება ყველა ცოდვებისაგან და იცხოვრებს არა გაგების, არამედ კანონის მიხედვით, ისე, როგორც მთელი ცივილიზებული სამყარო ცხოვრობს...

პატივისცემით,

საქართველოს თავისუფალ-დემოკრატიული პარტიის
ლიდერი –

  გიორგი კვირიკიძე.